3105 90	– დანარჩენი:	
3105 90 200 00	– – აზოტის შემცველობით 10 მას.%-ზე მეტი მშრალ უწყლო პროდუქტზე გადაანგარიშებით	—
3105 90 800 00	– – დანარჩენი	—

ჯგუფი 32
სათრიმლავი ან საღებავი ექსტრაქტები; ტანინები და მათი წარმოებულები; საღებარები, პიგმენტები და დანარჩენი საღებარი ნივთიერებები; საღებავები და ლაქები; ფითხები და სხვა მასტიკები; პოლიგრაფიული საღებავი, მელნები, ტუში

შენიშვნები:

1. მოცემულ ჯგუფში არ ჩაირთვება:

ა) ცალკეული ელემენტები ან განსაზღვრული ქიმიური შედგენილობის ნაერთები (გარდა 3203 ან 3204 სასაქონლო პოზიციაში ჩართული არაორგანული პროდუქტების, ლუმინოფორების სახით გამოსაყენებელი არაორგანული პროდუქტების (სასაქონლო პოზიცია 3206), ლხობილი კვარცისაგან მიღებული მინის ან სხვა ლხობილი 3207 სასაქონლო პოზიციაში მითითებული ფორმების მქონე ლხობილი კაჟმიწებისაგან, აგრეთვე 3212 სასაქონლო პოზიციის საცალო ვაჭრობისათვის ფორმებში ან საფუთავებში დაფასოებული საღებარებისა და სხვა საღებარი ნივთიერებებისა);

ბ) ტანატები ან ტანინების სხვა წარმოებულები 2936–2939, 2941 ან 3501–3504 სასაქონლო პოზიციების პროდუქტებისა; ან

გ) ასფალტური მასტიკები ან სხვა ბიტუმიანი მასტიკები (სასაქონლო პოზიცია 2715).

2. 3204 სასაქონლო პოზიციაში ჩაირთვება დიაზონის სტაბილიზებული მარილების ნარევები და აზოსაღებარების მისაღები კომპონენტები.

3. 3203–3206 სასაქონლო პოზიციებში ჩაირთვება პროდუქტები, დამზადებული საღებარი ნივთიერებების ფუძეზე (3206 სასაქონლო პოზიციის შემთხვევაში 2530 სასაქონლო პოზიციის ან 28 ჯგუფის საღებარი პიგმენტების, ლითონის ფანტელებისა ან ლითონის ფხვნილების ჩათვლით), ნებისმიერი მასალის შესაღებად ან კომპონენტების სახით გამოსაყენებლად საღებარი საშუალებების წარმოებაში. ამ სასაქონლო პოზიციებში არ ჩაირთვება პიგმენტები, დისპერგირებული უწყლო გარემოში, თხევადი ან პასტისებრი, გამოსაყენებელი საღებავების წარმოებაში, მინანქრების (სასაქონლო პოზიცია 3212) ან 3207–3210, 3212, 3213 და 3215 სასაქონლო პოზიციების სხვა პროდუქტების ჩათვლით.

4. 3208 სასაქონლო პოზიციაში ჩაირთვება ხსნარები (კოლოდიუმების გარდა), შედგენილი 3901–3913 სასაქონლო პოზიციების ნებისმიერი პროდუქტებისაგან აქროლად ორგანულ გამხსნელებში, თუ გამხსნელის შემცველობა აჭარბებს ხსნარის მასის 50% -ს.

5. ტერმინი „საღებარი ნივთიერება“ მოცემული ჯგუფის ფარგლებში არ ეხება ზეთოვანი საღებავების შესავსე-ბად გამოსაყენებელ პროდუქტებს, მიუხედავად იმისა, გამოსადეგია თუ არა ისინი წებოვანი საღებავებისთვის.

6. ტერმინი „სატვიფრი კილიტა“ 3212 სასაქონლო პოზიციაში ნიშნავს მხოლოდ თხელ ფურცლოვან მასალას, გამოსაყენებელს ანაბეჭდების დასატანად, მაგალითად, წიგნების ყდებზე ან ქუდების ლენტებზე, და რომელიც შედგება:

ა) ლითონის ფხვნილისაგან (ძვირფასი ლითონის ფხვნილის ჩათვლით) ანდა წებოთი, ჟელატინით ან სხვა შემაწებებელი ნივთიერებით აგლომერირებული პიგმენტისაგან; ან

ბ) ლითონისაგან (ძვირფასი ლითონის ჩათვლით) ან ნებისმიერი მასალის ფურცლოვანი ფუძეშრის ზედაპირზე დატანილი პიგმენტისაგან.

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
3201	**მცენარეული წარმოშობის სათრიმლავი ექსტრაქტები; ტანინები და მათი მარილები, მარტივი და რთული ეთერები და სხვა წარმოებულები:**	
3201 10 000 00	– კვებრახოს ექსტრაქტი	—
3201 20 000 00	– აკაციის ექსტრაქტი	—
3201 90	– დანარჩენი:	
3201 90 200 00	– – თუთუბოს ექსტრაქტი, მსხვილქერცლოვანი მუხის ექსტრაქტი, მუხის ექსტრაქტი ან წაბლის ექსტრაქტი	—
3201 90 900 00	– – დანარჩენი	—
3202	**ორგანული სათრიმლავი ნივთიერებები სინთეზური; არაორგანული სათრიმლავი ნივთიერებები; პრეპარატები თრიმვლისათვის, ბუნებრივი სათრიმლავი ნივთიერებების შემცველობით ან მათ გარეშე; ფერმენტული პრეპარატები წინასწარი თრიმვლისათვის:**	
3202 10 000 00	– ორგანული სათრიმლავი ნივთიერებები სინთეზური	—
3202 90 000 00	– დანარჩენი	—
3203 00	**საღებარი ნივთიერებები მცენარეული ან ცხოველური წარმოშობისა (საღებარი ექსტრაქტების ჩათვლით, ცხოველური ნახშირის გარდა), განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობისა; პრეპარატები, დამზადებული მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის საღებარი ნივთიერებების ფუძეზე, მითითებული მოცემული ჯგუფის 3 შენიშვნაში:**	
3203 00 100 00	– მცენარეული წარმოშობის საღებარი ნივთიერებები და პრეპარატები მათ ფუძეზე	—

3203 00 900 00	– ცხოველური წარმოშობის საღებარი ნივთიერებები და პრეპარატები მათ ფუძეზე	—
3204	**ორგანული საღებარი ნივთიერებები სინთეზური, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობის; პრეპარატები, დამზადებული მოცემული ჯგუფის 3 შენიშვნაში მითითებული სინთეზური ორგანული საღებარი ნივთიერებების ფუძეზე; სინთეზური ორგანული პროდუქტები ოპტიკური სათეთრებელი ან ლუმინოფორების სახით გამოსაყენებელი, განსაზღვრული და განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობის:**	
	– ორგანული საღებარი ნივთიერებები სინთეზური და პრეპარატები დამზადებული მათ ფუძეზე, მითითებული მოცემული ჯგუფის 3 შენიშვნაში:	
3204 11 000 00	– – დისპერსიული საღებარები და პრეპარატები, დამზადებული მათ ფუძეზე	—
3204 12 000 00	– – საღებარები მჟავური, წინასწარ ლითონიზებული ან არალითონიზებული და პრეპარატები დამზადებული მათ ფუძეზე; ფერსაჭერი საღებარები და პრეპარატები, დამზადებული მათ ფუძეზე	—
3204 13 000 00	– – ძირითადი საღებარები და პრეპარატები, დამზადებული მათ ფუძეზე	—
3204 14 000 00	– – უშუალო საღებარები და პრეპარატები, დამზადებული მათ ფუძეზე	—
3204 15 000 00	– – კუბური საღებარები (მათ შორის გამოსაყენებელი პიგმენტების სახით) და პრეპარატები, დამზადებული მათ ფუძეზე	—
3204 16 000 00	– – საღებარები ქიმიურად აქტიური და პრეპარატები, დამზადებული მათ ფუძეზე	—
3204 17 000 00	– – პიგმენტები და პრეპარატები, დამზადებული მათ ფუძეზე	—
3204 18 000 00	– – საღებარი ნივთიერებები კაროტინოიდებისგან და პრეპარატები მათ ფუძეზე	—
3204 19 000 00	– – დანარჩენი (მათ შორის 3204 11 – 3204 19 სუბპოზიციების ორი ან მეტი საღებარი ნივთიერების ნარევები)	—
3204 20 000 00	– ორგანული პროდუქტები სინთეზური, გამოსაყენებელი ოპტიკური სათეთრებლების სახით	—
3204 90 000 00	– დანარჩენი	—
3205 00 000 00	**ფერადი ლაქები; პრეპარატები ფერადი ლაქების ფუძეზე, მითითებული მოცემული ჯგუფის 3 შენიშვნაში**	—
3206	**საღებარი ნივთიერებები დანარჩენი; პრეპარატები, მითითებული მოცემული ჯგუფის 3 შენიშვნაში, განსხვავებული 3203, 3204 ან 3205 სასაქონლო პოზიციებში მითითებული პრეპარატებისაგან; არაორგანული პროდუქტები ლუმინოფორების სახით გამოსაყენებელი, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ქიმიური შედგენილობის:**	
	– პიგმენტები და პრეპარატები, დამზადებული ტიტანის დიოქსიდის ფუძეზე:	
3206 11 000 00	– – ტიტანის დიოქსიდის შემცველობით 80 მას.% ან მეტი მშრალ მასაზე გადაანგარიშებით	—
3206 19 000 00	– – დანარჩენი	—
3206 20 000 00	– პიგმენტები და პრეპარატები, დამზადებული ქრომის ნაერთების ფუძეზე	—
	– დანარჩენი საღებარი ნივთიერებები და პრეპარატები:	
3206 41 000 00	– – ულტრამარინი და პრეპარატები, დამზადებული მის ფუძეზე	—
3206 42 000 00	– – ლითოფონი და დანარჩენი პიგმენტები და პრეპარატები, დამზადებული თუთიის სულფიდის ფუძეზე	—
3206 49	– – დანარჩენი:	
3206 49 100 00	– – – მაგნეტიტი	—
3206 49 700 00	– – – დანარჩენი	—
3206 50 000 00	– არაორგანული პროდუქტები, ლუმინოფორების სახით გამოსაყენებელი	—
3207	**მზა პიგმენტები, მინის ჩამხშობები და მზა საღებავები, მინისებრი ემალები და ჭიქურები, წარნაქები (შლიკერები), თხევადი საპრიალებლები და ანალოგიური პრეპარატები, კერამიკის, მინანქრისა ან მინის წარმოების დროს გამოსაყენებელი; მინისებრი ფრიტა და სხვა მინა ფხვნილის, გრანულებისა ან ფანტელების სახით:**	
3207 10 000 00	– მზა პიგმენტები, მინის ჩამხშობები, მზა საღებავები და ანალოგიური პრეპარატები	—
3207 20	– მინანქრები და ჭიქურები მინისებრი, ანგობები (შლიკერები) და ანალოგიური პრეპარატები:	
3207 20 100 00	– – წარნაქები (შლიკერები)	—

3207 20 900 00	– – დანარჩენი	—
3207 30 000 00	– თხევადი საპრიალებლები და ანალოგიური პრეპარატები	—
3207 40	– მინისებური ფრიტა და სხვა მინა ფხვნილების, გრანულებისა ან ფანტელების სახით:	
3207 40 400 00	– – მინა ფანტელების სახით სიგრძით 0,1 მმ ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 3,5 მმ-სა და სისქით 2 მკმ ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 5 მკმ-სა; მინა ფხვნილისა ან გრანულების სახით, სილიციუმის დიოქსიდის შემცველი 99 მას% ან მეტი	—
3207 40 850 00	– – დანარჩენი	—
3208	**საღებავები და ლაქები (ემალებისა და პოლიტურების ჩათვლით) სინთეზური პოლიმერების ან ქიმიურად მოდიფიცირებული ბუნებრივი პოლიმერების ფუძეზე, დისპერგირებული ან უწყლო გარემოში გახსნილი; ხსნარები, მითითებული მოცემული ჯგუფის 4 შენიშვნაში:**	
3208 10	– რთული პოლიეთერების ფუძეზე:	
3208 10 100 00	– – ხსნარები, მითითებული მოცემული ჯგუფის 4 შენიშვნაში	—
3208 10 900 00	– – დანარჩენი	—
3208 20	– აკრილისა ან ვინილის პოლიმერების ფუძეზე:	
3208 20 100 00	– – ხსნარები, მითითებული მოცემული ჯგუფის 4 შენიშვნაში	—
3208 20 900 00	– – დანარჩენი	—
3208 90	– დანარჩენი:	
	– – ხსნარები, მითითებული მოცემული ჯგუფის 4 შენიშვნაში:	
3208 90 110 00	– – – 2,2’-(ტრეტ-ბუთილიმინო)დიეთანოლისა და 4,4’-მეთილენდიციკლო გექსილდიიზოციანიტის პოლიურეთანი ხსნარის სახით N,N-დიმეთილაცეტამიდში პოლიმერის შემცველობით 48 მას% ან მეტი	—
3208 90 130 00	– – – n-კრეზოლისა და დივინილბენზოლის თანაპოლიმერი ხსნარის სახით N,N-დიტილმეთილაცეტატამიდში პოლიმერის შემცველობით 48 მას% ან მეტი	—
3208 90 190 00	– – – დანარჩენი	—
	– – დანარჩენი:	
3208 90 910 00	– – – სინთეზური პოლიმერების ფუძეზე	—
3208 90 990 00	– – – ქიმიურად მოდიფიცირებული ბუნებრივი პოლიმერების ფუძეზე	—
3209	**საღებავები და ლაქები (ემალებისა და პოლიტურების ჩათვლით) სინთეზური პოლიმერების ან ქიმიურად მოდიფიცირებული ბუნებრივი პოლიმერების ფუძეზე, დისპერგირებული ან წყლიან გარემოში გახსნილი:**	
3209 10 000 00	– აკრილისა და ვინილის პოლიმერების ფუძეზე	—
3209 90 000 00	– დანარჩენი	—
3210 00	**საღებავები და ლაქები დანარჩენი (ემალების, პოლიტურებისა და წებოვანი საღებავების ჩათვლით); მზა წყლიანი პიგმენტები ტყავების გამოსაყვანად:**	
3210 00 100 00	– ზეთოვანი საღებავები და ლაქები (ემალებისა და პოლიტურების ჩათვლით)	—
3210 00 900 00	– დანარჩენი	—
3211 00 000 00	**მზა სიკატივები**	—
3212	**პიგმენტები (ლითონის ფხვნილებისა და ფანტელების ჩათვლით), უწყლო გარემოში დისპერგირებული, თხევადი ან პასტისებური, საღებავების (ემალების ჩათვლით) წარმოებაში გამოსაყენებელი; კილიტა სატვიფრი; საღებარები და სხვა საღებარი ნივთიერებები, საცალო ვაჭრობისათვის ფორმებში ან შესაფუთებში დაფასოებული:**	
3212 10 000 00	– კილიტა სატვიფრი	—
3212 90 000 00	– დანარჩენი	—
3213	**სამხატვრო საღებავები, მხატვრების, სტუდენტების მიერ ან აბრების გასაფორმებლად გამოსაყენებელი, ელფერის მოდიფიცირებისთვის, გასართობი საღებავები და ანალოგიური პროდუქტები აბებში, ტუბებში, ქილებში, ფლაკონებში, თაბახებში ან ანალოგიურ ფორმებში ან საფუთავებში:**	
3213 10 000 00	– საღებავები ნაკრებებში	—

3213 90 000 00	– დანარჩენი	—
3214	**საგოზავები მინისა და საბაღე, ფისოვანი ცემენტები, შემავსებელი შედგენილობები და სხვა მასტიკები; ფითხები სამღებრო სამუშაოებისათვის; არაცეცხლგამძლე შედგენილობები ფასადების ზედაპირების, შენობების შიდა კედლების, იატაკების, ჭერების მოსამზადებლად ან ანალოგიური:**	
3214 10	– საგოზავები მინისაა და საბაღე, ფისოვანი ცემენტები, შემავსებელი შედგენილობები და სხვა მასტიკები, სამღებრო ფითხები:	
3214 10 100 00	– – საგოზავები მინის და საბაღე, ფისოვანი ცემენტები, შემავსებელი შედგენილობები და სხვა მასტიკები	—
3214 10 900 00	– – ფითხები სამღებრო სამუშაოებისათვის	—
3214 90 000 00	– დანარჩენი	—
3215	**საღებავი სასტამბო, მელანი ან ტუში საწერად ან სახატავად და დანარჩენი მელანი, კონცენტრირებული ან არაკონცენტრირებული, მყარი ან არამყარი:**	
	– საღებავი სასტამბო:	
3215 11 000 00	– – შავი	—
3215 19 000 00	– – დანარჩენი	—
3215 90	– დანარჩენი:	
3215 90 200 00	– – მელნის კარტრიჯები (ინტეგრირებული საბეჭდი თავაკის გარეშე) 8443 31, 8443 32 ან 8443 39 სასაქონლო სუბპოზიციის აპარატურაში ჩასაყენებლად, აგრეთვე მექანიკური ან ელექტრო კომპონენტების ჩათვლით; მყარი მელანი კონსტრუქტიულ ფორმებში 8443 31, 8443 32 ან 8443 39 სასაქონლო სუბპოზიციის აპარატურაში ჩასაყენებლად	—
3215 90 700 00	– – დანარჩენი	—

ჯგუფი 33

ეთერზეთები და რეზინოიდები; პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები

შენიშვნები:

1. მოცემულ ჯგუფში არ ჩაირთვება:

ა) 1301 ან 1302 სასაქონლო პოზიციის ბუნებრივი ძივთები ან მცენარეული ექსტრაქტები;

ბ) 3401 სასაქონლო პოზიციის საპონი ან სხვა პროდუქტები; ან

გ) ძივთის, მერქნისა ან სულფატის სკიპიდარი, ან 3805 სასაქონლო პოზიციის სხვა პროდუქტები.

2. 3302 სასაქონლო პოზიციაში ტერმინი „სურნელოვანი ნივთიერებები“ ეხება მხოლოდ 3301 სასაქონლო პოზიციის ნივთიერებებს, ამ ნივთიერებებიდან გამოყოფილ სურნელოვან კომპონენტებს ან სინთეზურ არომატულ ნივთიერებებს.

3. 3303–3307 სასაქონლო პოზიციებში ჩაირთვება, *inter alia*, შერეული ან შეურეველი პროდუქტები (წყლის დისტილატებისა და ეთერზეთების წყალხსნარების გარდა), ამ სასაქონლო პოზიციების საქონლის სახით გამოსაყენებლად ვარგისი და ასეთი მიზნებისათვის ჩვეულებრივი სახით დაფასოებული საცალო ვაჭრობისათვის.

4. ტერმინი „პარფიუმერული, კოსმეტიკური ან ტუალეტის საშუალებები“ (3307 სასაქონლო პოზიცია) ნიშნავს, *inter alia*, შემდეგ პროდუქტებს: პაკეტები სურნელოვანი ნივთიერებებით; წვის დროს სუნის გამავრცელებელი ნელსურნელებანი; არომატიზებული ხელსახოცები და ქაღალდი, გაჟღენთილი ან დაფარული კოსმეტიკური შედგენილობით; ხსნარები კონტაქტური ლინზებისა ან თვალის პროტეზების შესანახად; ბამბა, ქეჩა ან ფეტრი და უქსოვადი ქსოვილები, გაჟღენთილი, დაფარული ან დანამული პარფიუმერული ან კოსმეტიკური საშუალებებით; ტუალეტის საშუალებები ცხოველებისათვის.

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
3301	**ეთერზეთები (ტერპენების შემცველი ან მათ გარეშე), კონკრეტებისა და აბსოლუტების ჩათვლით; რეზინოიდები; ექსტრაჰირებული ეთერზეთები; ეთერზეთების კონცენტრატები ცხიმებში, აუქროლად ზეთებში, ცვილებში ან მსგავს პროდუქტებში, მიღებული ანფლერაჟის მეთოდით ან მაცერაციით; ეთერზეთების დეტერპენიზაციის ტერპენული თანამდევი პროდუქტები; წყლის დისტილატები და ეთერზეთების წყალხსნარები:**	
	– ციტრუსების ნაყოფების ეთერზეთები:	
3301 12	– – ფორთოხლის:	
3301 12 100 00	– – – ტერპენების შემცველი	—
3301 12 900 00	– – – ტერპენების გარეშე	—
3301 13	– – ლიმონის:	
3301 13 100 00	– – – ტერპენების შემცველი	—
3301 13 900 00	– – – ტერპენების გარეშე	—
3301 19	– – დანარჩენი:	
3301 19 200 00	– – – ტერპენების შემცველი	—
3301 19 800 00	– – – ტერპენების გარეშე	—
	– ეთერზეთები, ციტრუსების ნაყოფების ეთერზეთების გარდა:	
3301 24	– – ბაღის პიტნის *(Mentha piperita)*:	
3301 24 100 00	– – – ტერპენების შემცველი	—
3301 24 900 00	– – – ტერპენების გარეშე	—
3301 25	– – პიტნის დანარჩენი სახეობების:	
3301 25 100 00	– – – ტერპენების შემცველი	—
3301 25 900 00	– – – ტერპენების გარეშე	—
3301 29	– – დანარჩენი:	
	– – – მიხაკის, ნეროლისა და ილანგ-ილანგისა:	
3301 29 110 00	– – – – ტერპენების შემცველი	—
3301 29 310 00	– – – – ტერპენების გარეშე	—
	– – – დანარჩენი:	
	– – – – ტერპენების შემცველი:	
3301 29 420 00	– – – – – ვარდის	—
3301 29 490 00	– – – – – დანარჩენი	—
	– – – – ტერპენების გარეშე:	
3301 29 710 00	– – – – – ნემსიწვერასი; ვეტივერიის; ჟასმინის	—
3301 29 790 00	– – – – – ლავანდის ან ლავანდინის	—
3301 29 910 00	– – – – – დანარჩენი	—
3301 30 000 00	– რეზინოიდები	—
3301 90	– დანარჩენი:	
3301 90 100 00	– – ეთერზეთების დეტერპენიზაციის თანამდევი ტერპენული პროდუქტები	—
	– – ექსტრაჰირებული ეთერზეთები:	
3301 90 210 00	– – – პირტკბილასა და სვიისაგან	—
3301 90 300 00	– – – დანარჩენი	—
3301 90 900 00	– – დანარჩენი	—
3302	**სურნელოვანი ნივთიერებების ნარევები და ნარევები (სპირტიანი ხსნარების ჩათვლით), ერთი ან მეტი ასეთი ნივთიერების ფუძეზე, გამოსაყენებელი სამრეწველო ნედლეულის სახით; სხვა პრეპარატები სურნელოვანი ნივთიერებების ფუძეზე, გამოყენებული სასმელების**	

	წარმოებისათვის:	
3302 10	– კვების მრეწველობაში ან სასმელების წარმოებისათვის გამოსაყენებელი:	
	– – სასმელების წარმოებისათვის გამოსაყენებელი:	
	– – – პრეპარატები, სასმელის დამახასიათებელი გემოსა და სუნის მიმცემი ყველა კომპონენტის შემცველობით:	
3302 10 100 00	– – – – სპირტის შემცველობით 0,5 მოც.%-ზე მეტი	—
	– – – – დანარჩენი:	
3302 10 210 00	– – – – – რძის ცხიმების, იზოგლუკოზას, გლუკოზას ან სახამებლის შემცველობის გარეშე, ან 1,5%-ზე ნაკლები რძის ცხიმის, 5% საქაროზას ან იზოგლუკოზას, 5% გლუკოზას ან სახამებლის შემცველობით	—
3302 10 290 00	– – – – – დანარჩენი	—
3302 10 400 00	– – – დანარჩენი	—
3302 10 900 00	– – კვების მრეწველობაში გამოსაყენებელი	—
3302 90	– დანარჩენი:	
3302 90 100 00	– – სპირტული ხსნარები	—
3302 90 900 00	– – დანარჩენი	—
3303 00	**სუნამოები და ტუალეტის წყალი:**	
3303 00 100 00	– სუნამოები	—
3303 00 900 00	– ტუალეტის წყალი	—
3304	**კოსმეტიკური საშუალებები ან მაკიაჟის საშუალებები და კანის მოსავლელი საშუალებები (სამკურნალოს გარდა), გარუჯვისა და საწინააღმდეგო საშუალებების ჩათვლით; მანიკიურისა ან პედიკიურის საშუალებები:**	
3304 10 000 00	– საშუალებები ტუჩების მაკიაჟისათვის	—
3304 20 000 00	– საშუალებები თვალების მაკიაჟისათვის	—
3304 30 000 00	– საშუალებები მანიკიურისა ან პედიკიურისათვის	—
	– დანარჩენი:	
3304 91 000 00	– – პუდრი (კომპაქტურის ჩათვლით)	—
3304 99 000 00	– – დანარჩენი	—
3305	**თმის საშუალებები:**	
3305 10 000 00	– შამპუნები	—
3305 20 000 00	– პერმანენტული დახვევისა ან თმის გასასწორებელი საშუალებები	—
3305 30 000 00	– თმის ლაქები	—
3305 90 000 00	– დანარჩენი	—
3306	**საშუალებები პირის ღრუს ან კბილების ჰიგიენისათვის, კბილის პროტეზების მაფიქსირებელი ფხვნილებისა და პასტების ჩათვლით; ძაფი, კბილებს შორის სივრცის გასაწმენდად (კბილის აბრეშუმი), ინდივიდუალურად შეფუთული საცალო ვაჭრობისათვის:**	
3306 10 000 00	– კბილების საწმენდი საშუალებები	—
3306 20 000 00	– ძაფი, კბილებს შორის სივრცის გასაწმენდად (კბილის აბრეშუმი)	—
3306 90 000 00	– დანარჩენი	—
3307	**საშუალებები, პარსვამდე, პარსვის დროსა ან პარსვის შემდეგ გამოსაყენებელი, ინდივიდუალური დანიშნულების დეზოდორანტები, შედგენილობები აბაზანის მისაღებად, თმების მოსაცილებელი და სხვა საპარფიუმერიო, კოსმეტიკური ან ტუალეტის საშუალებები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; დეზოდორანტები სათავსოებისათვის, არომატიზებული ან არაარომატიზებული, მადეზინფიცირებელი თვისების მქონე ან არმქონე:**	
3307 10 000 00	– საშუალებები, პარსვამდე, პარსვის დროს ან პარსვის შემდეგ გამოსაყენებელი	—
3307 20 000 00	– დეზოდორანტები და ანტიპერსპირანტები ინდივიდუალური დანიშნულებისათვის	—
3307 30 000 00	– არომატიზებული მარილები და სხვა შედგენილობები აბაზანების მისაღებად	—
	– საშუალებები, სათავსოებში ჰაერის არომატიზებისა ან დეზოდორირებისათვის,	

	რელიგიური წესჩვეულებებისას გამოსაყენებელი კეთილსურნელებების ჩათვლით:	
3307 41 000 00	– – ,,აგარბატი'' და სხვა კეთილსურნელებანი, წვის დროს სუნის გამავრცელებელი	—
3307 49 000 00	– – დანარჩენი	—
3307 90 000 00	– დანარჩენი	—

ჯგუფი 34

საპონი, ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები, სარეცხი საშუალებები, საპოხი მასალები, ხელოვნური და მზა ცვილები, საწმენდი და საპრიალებელი შედგენილობები, სანთლები და ანალოგიური ნაწარმი, საძერწი პასტები, პლასტილინი, „კბილსამკურნალო ცვილი“ და შემადგენლობები თაბაშირის საფუძველზე კბილსამკურნალო მიზნებისათვის

შენიშვნები:

1. მოცემულ ჯგუფში არ ჩაირთვება:

ა) საკვები ნარევები ან მზა პროდუქტები, მიღებული ცხოველური, მცენარეული ან მიკრობული ცხიმებისა ან ზეთების საფუძველზე, ფორმების გასაპოხად გამოსაყენებელი (სასაქონლო პოზიცია 1517);

ბ) განსაზღვრული ქიმიური შედგენილობის ცალკეული ნაერთები; ან

გ) შამპუნები, კბილების საწმენდი საშუალებები, კრემები და ქაფები პარსვისათვის ან შედგენილობები აბაზანის მისაღებად, საპნისა ან სხვა ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებების შემცველობით (3305, 3306 ან 3307 სასაქონლო პოზიციები).

2. 3401 სასაქონლო პოზიციაში ტერმინი „საპონი“ გულისხმობს მხოლოდ წყალში ხსნად საპონს. 3401 სასაქონლო პოზიციის საპონს და სხვა პროდუქტებს შეიძლება ჰქონდეთ დანამატები (მაგალითად, მადეზინფეცირებელი საშუალებები, აბრაზიული ფხვნილები, შემავსებლები ან სამკურნალო საშუალებები). პროდუქტები აბრაზიული ფხვნილების შემცველობით ჩაირთვება 3401 სასაქონლო პოზიციაში მხოლოდ ძელაკების, ნაჭრებისა ან ფიგურული ნაწარმის სახით. იგივე პროდუქტები სხვა ფორმებით ჩართული არიან 3405 სასაქონლო პოზიციაში, როგორც „საწმენდი ფხვნილები და ანალოგიური საშუალებები“.

3. 3402 სასაქონლო პოზიციაში „ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები“ აღნიშნავს პროდუქტებს, რომლებიც 0,5% კონცენტრაციისას 20°C ტემპერატურაზე წყალთან შერევისას და ამავე ტემპერატურაზე 1 სთ-ის განმავლობაში დაყოვნებით:

ა) იძლევიან გამჭვირვალე ან ნახევრად გამჭვირვალე სითხეს ან სტაბილურ ემულსიას გაუხსნელი ნივთიერებების ამოვარდნის გარეშე; და

ბ) ამცირებენ წყლის ზედაპირულ დაჭიმულობას 4,5x10-2 ნ/მ (45 დინი/სმ)-მდე ან ნაკლები.

4. 3403 სასაქონლო პოზიციაში ტერმინი „ნავთობი და ნავთობპროდუქტები ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული“ ნიშნავს პროდუქტებს, რომლებიც მითითებულია 27 ჯგუფის 2 შენიშვნაში.

5. 3404 სასაქონლო პოზიციაში, ქვემოთ მითითებული გამონაკლისების გათვალისწინებით, ტერმინი „ხელოვნური და მზა ცვილები“ ნიშნავს მხოლოდ:

ა) წყალში ხსნად ან უხსნად, ქიმიური გზით მიღებულ ცვილისებრი ხასიათის ორგანულ პროდუქტებს;

ბ) სხვადასხვა სახის ცვილების შერევით მიღებულ პროდუქტებს;

გ) ცვილისებრი ხასიათის, ერთი ან რამდენიმე სახის ცვილის ფუძის მქონე, და ცხიმების, ფისების, მინერალური ნივთიერებების ან სხვა მასალების შემცველ პროდუქტებს.

მოცემულ სასაქონლო პოზიციაში არ ჩაირთვება:

ა) 1516, 3402 ან 3823 სასაქონლო პოზიციების პროდუქტები, მაშინაც კი, თუ მათ აქვთ ცვილისებრი ხასიათი;

ბ) 1521 სასაქონლო პოზიციის ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის შეურეველი ცვილები, რაფინირებული ან არარაფინირებული, შეღებილი ან შეუღებავი;

გ) 2712 სასაქონლო პოზიციის მინერალური ცვილები ან ანალოგიური პროდუქტები, შერეული ან შეურეველი, ან მხოლოდ შეღებილი ან შეუღებავი; ან

დ) ცვილები, თხევად გარემოსთან შერეული, დისპერგირებული ან მასში გახსნილი (3405, 3809 და ა.შ. სასაქონლო პოზიციები).

შენიშვნა ქვესუბპოზიციისთვის:

1. 3403 19 200 00 ქვესუბპოზიციაში - ბიო ფუძეზე (1) განისაზღვრება EN 16575 სტანდარტის შესაბამისად.

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
3401	**საპონი; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და საშუალებები, გამოსაყენებელი საპნად, ძელაკების, ნაჭრებისა ან დაყალიბებული ნაწარმის სახით, საპნის შემცველი ან მის გარეშე; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და კანის დასაბანი საშუალებები სითხისა ან კრემის სახით, დაფასოებული საცალო ვაჭრობისათვის, საპნის შემცველი ან მის გარეშე; ქაღალდი, ბამბა, ქეჩა ან ფეტრი და უქსოვადი მასალები, გაჟღენთილი ან დაფარული საპნით ან სარეცხი საშუალებით:**	
	– საპონი და ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და საშუალებები ძელაკების, ნაჭრებისა ან დაყალიბებული ნაწარმის ფორმით და ქაღალდი, ბამბა, ქეჩა, ფეტრი და უქსოვადი მასალები, გაჟღენთილი ან დაფარული საპნით ან სარეცხი საშუალებით:	
3401 11 000 00	– – ტუალეტის საპონი (სამკურნალო საშუალების შემცველი საპნის ჩათვლით)	—
3401 19 000 00	– – დანარჩენი	—
3401 20	– საპონი სხვა ფორმით:	
3401 20 100 00	– – ფანტელები, ვაფლი, გრანულები ან ფხვნილები	—
3401 20 900 00	– – დანარჩენი	—
3401 30 000 00	– ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და კანის დასაბანი საშუალებები სითხისა ან კრემის სახით და დაფასოებული საცალო ვაჭრობისათვის, საპნის შემცველი ან მის გარეშე	—
3402	**ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები (საპნის გარდა); ზედაპირულად აქტიური საშუალებები, სარეცხი საშუალებები (დამხმარე სარეცხი საშუალებების ჩათვლით) და საწმენდი საშუალებები საპნის შემცველი ან მის გარეშე (3401 სასაქონლო პოზიციის საშუალებების გარდა):**	
	– ანიონური ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები, დაფასოებული ან დაუფასოებელი საცალო ვაჭრობისათვის:	
3402 31 000 00	– – ხაზოვანი ალკილბენზოლ სულფონ მჟავა და მისი მარილები	—
3402 39	– – დანარჩენი:	
3402 39 100 00	– – – 30 მას.% ან მეტის, მაგრამ არაუმეტეს 50 მას.% disodium alkyl [oxydi(benzenesulphonate)]-ის შემცველი წყალხსნარი	—
3402 39 900 00	– – – დანარჩენი	—
	– დანარჩენი ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები, დაფასოებული ან დაუფასოებელი საცალო ვაჭრობისათვის:	
3402 41 000 00	– – კათიონური	—
3402 42 000 00	– – ნეინოგენური	—
3402 49 000 00	– – დანარჩენი	—
3402 50	– საშუალებები, დაფასოებული საცალო ვაჭრობისათვის:	
3402 50 100 00	– – ზედაპირულად აქტიური საშუალებები	—

3402 50 900 00	– – სარეცხი და საწმენდი საშუალებები	—
3402 90	– დანარჩენი:	
3402 90 100 00	– – ზედაპირულად აქტიური საშუალებები	—
3402 90 900 00	– – სარეცხი და საწმენდი საშუალებები	—
3403	**საპოხი მასალები (მათ შორის საპოხ-გამაცივებელი ემულსიები საჭრელი იარაღებისათვის, ჭანჭიკებისა და ქანჩების ამოხრახნის გასაადვილებელი საშუალებები, ჟანგის მოსაცილებელი საშუალებები ან ანტიკოროზიული საშუალებები და ფორმებიდან ნაკეთობის ამოღების შესამსუბუქებელი პრეპარატები, დამზადებული საპოხების საფუძველზე) და საშუალებები, გამოსაყენებელი ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულისა ან დანარჩენი მასალების ცხიმოვანი დამუშავებისათვის, გარდა იმ საშუალებებისა, რომლებიც მთავარი კომპონენტების სახით შეიცავენ 70 მას.% ან მეტ ნავთობსა ან ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებულ ნავთობპროდუქტებს:**	
	– ნავთობისა ან ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული ნავთობპროდუქტების შემცველი:	
3403 11 000 00	– – ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულისა ან დანარჩენი მასალების დამამუშავებელი საშუალებები	—
3403 19	– – დანარჩენი:	
3403 19 100 00	– – – ნავთობისა ან ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული ნავთობპროდუქტების არა ძირითადი კომპონენტის სახით შემცველობით 70 მას.% ან მეტი	—
3403 19 200 00	– – – საპოხი საშუალებები ბიო ფუძეზე (1) ნახშირბადის შემცველობით არანაკლებ 25მას%-ისა და რომლებიც წარმოადგენენ ბიოდეგრედირებადს დონეზე არანაკლებ 60%-ისა	—
3403 19 800 00	– – – დანარჩენი	—
	– დანარჩენი:	
3403 91 000 00	– – ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულისა ან დანარჩენი მასალების დამამუშავებელი საშუალებები	—
3403 99 000 00	– – დანარჩენი	—
3404	**ცვილები ხელოვნური და მზა ცვილები:**	
3404 20 000 00	– პოლიოქსიეთილენისაგან (პოლიეთილენგლიკოლისაგან)	—
3404 90 000 00	– დანარჩენი	—
3405	**ვაქსები და საცხები ფეხსაცმლისათვის, პოლიროლები და მასტიკები ავეჯის, იატაკის, ავტომობილების ძარების, მინების ან ლითონებისათვის, საწმენდი პასტები და ფხვნილები და ანალოგიური საშუალებები (მათ შორის ქაღალდი, ბამბა, ქეჩა ან ფეტრი, უქსოვადი მსალები, ფორიანი პლასტმასები ან ფორიანი რეზინი, გაჟღენთილი ან დაფარული ასეთი საშუალებებით), 3404 სასაქონლო პოზიციის ცვილების გარდა:**	
3405 10 000 00	– ვაქსები, საცხები და ანალოგიური პროდუქცია ფეხსაცმლისათვის და ტყავისათვის	—
3405 20 000 00	– პოლიროლები, მასტიკები და ანალოგიური საშუალებები ხის ავეჯის, იატაკისა ან ხის დანარჩენი ნაკეთობების მოსავლელად	—
3405 30 000 00	– პოლიტურები და ანალოგიური საშუალებები ავტომობილების ძარებისათვის, გარდა საპრიალებელი საშუალებებისა ლითონისათვის	—
3405 40 000 00	– საწმენდი პასტები და ფხვნილები და სხვა საწმენდი საშუალებები	—
3405 90	– დანარჩენი:	
3405 90 10	– – პოლიტურები ლითონის ზედაპირებისათვის:	
3405 90 101 00	– – – ალმასის პასტა	—
3405 90 109 00	– – – დანარჩენი	—
3405 90 900 00	– – დანარჩენი	—
3406 00 000 00	**სანთლები, ცვილის წვრილი სანთლები და ანალოგიური ნაკეთობები**	—
3407 00 000 00	**პასტები ძერწვისათვის, პლასტილინის ჩათვლით საბავშვო ძერწვისათვის; „კბილსამკურნალო ცვილი” ან კბილების სხმულების მისაღები**	—

	შემადგენლობები, დაფასოებული ნაკრებებში, საფუთავებში საცალო ვაჭრობისათვის ან ფილების, ნალის, ძელაკებისა ან ანალოგიური ფორმით; საშუალებები კბილსამკურნალო მიზნებისათვის დანარჩენი, მომზადებული თაბაშირის ფუძეზე (კალცინირებული თაბაშირისა ან კალციუმის სულფატის)	

ჯგუფი 35
ცილოვანი ნივთიერებები; მოდიფიცირებული სახამებლები; წებოები; ფერმენტები

შენიშვნები:

1. მოცემულ ჯგუფში არ ჩაირთვება:

ა) საფუარი (სასაქონლო პოზიცია 2102);

ბ) სისხლის ფრაქციები (სისხლის შრატიდან გამოყოფილი ალბუმინის გარდა, რომელიც არ არის განკუთვნილი თერაპიული ან პროფილაქტიკური მიზნებისათვის), სამკურნალო საშუალებები ან 30 ჯგუფის სხვა პროდუქცია;

გ) ფერმენტული პრეპარატები წინასწარი თრიმვლისათვის (სასაქონლო პოზიცია 3202);

დ) ფერმენტული პრეპარატები დასალბობად ან გამოსარეცხად და 34 ჯგუფის სხვა პროდუქტები;

ე) გამყარებული პროტეინები (სასაქონლო პოზიცია 3913); ან

ვ) პროდუქტები ჟელატინისაგან პოლიგრაფიული მრეწველობისათვის (ჯგუფი 49).

2. 3505 სასაქონლო პოზიციაში ტერმინი „დექსტრინები“ ეხება სახამებლის გამხლეჩ პროდუქტებს, მშრალ ნივთიერებაში დექტროზას მარედუცირებელი შაქრის შემცველობით არა უმეტეს 10%-ისა.

ასეთი პროდუქტები, მარედუცირებელი შაქრის შემცველი 10%-ზე მეტი, ჩაირთვება 1702 სასაქონლო პოზიციაში.

დამატებითი შენიშვნა:

3504 00 10 სუბპოზიციაში ჩაირთვება რძის კონცენტრირებული ცილები ცილის შემცველობით 85 მას.%-ზე მეტი მშრალ პროდუქტზე გადაანგარიშებით.

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
3501	**კაზეინი, კაზეინატები და კაზეინის წარმოებულები დანარჩენი; კაზეინის წებოები:**	
3501 10	– კაზეინი:	
3501 10 100 00	– – რეგენერირებული ტექსტილის ბოჭკოების წარმოებისათვის	—
3501 10 500 00	– – სამრეწველო მიზნებისათვის, კვების პროდუქტებისა ან ცხოველთა საკვების წარმოების გარდა	—
3501 10 900 00	– – დანარჩენი	—
3501 90	– დანარჩენი:	
3501 90 100 00	– – კაზეინის წებოები	—
3501 90 900 00	– – დანარჩენი	—
3502	**ალბუმინები (ორი ან მეტი შრატოვანი ცილების კონცენტრატების ჩათვლით, შრატოვანი ცილების შემცველობით 80 მას.%-ზე მეტი მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით), ალბუმინატები და ალბუმინის სხვა წარმოებულები:**	
	– კვერცხის ალბუმინი:	
3502 11	– – გამომშრალი:	
3502 11 100 00	– – – ადამიანის საკვებად გამოუსადეგარი ან განკუთვნილი არასაკვები მიზნებისათვის გადასამუშავებლად	—
3502 11 900 00	– – – დანარჩენი	—

3502 19	– – დანარჩენი:	
3502 19 100 00	– – – ადამიანის საკვებად გამოუსადეგარი ან განკუთვნილი არასაკვები მიზნებისათვის გადასამუშავებლად	—
3502 19 900 00	– – – დანარჩენი	—
3502 20	– რძის ალბუმინი, ორი ან მეტი შრატოვანი ცილის კონცენტრატების ჩათვლით:	
3502 20 100 00	– – – ადამიანის საკვებად გამოუსადეგარი ან განკუთვნილი არასაკვები მიზნებისათვის გადასამუშავებლად	—
	– – დანარჩენი:	
3502 20 910 00	– – – გამომშრალი (მაგალითად, ფირფიტების, ქერცლების, ფანტელების, ფხვნილის)	—
3502 20 990 00	– – – დანარჩენი	—
3502 90	– დანარჩენი:	
	– – ალბუმინები, კვერცხის ალბუმინისა და რძის ალბუმინის (ლაქტალბუმინის) გარდა:	
3502 90 200 00	– – – ადამიანის საკვებად გამოუსადეგარი ან განკუთვნილი არასაკვები მიზნებისათვის გადასამუშავებლად	—
3502 90 700 00	– – – დანარჩენი	—
3502 90 900 00	– – ალბუმინატები და ალბუმინის სხვა წარმოებულები	—
3503 00	**ჟელატინი (მათ შორის მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფურცლებად, ზედაპირული დამუშავებით ან დაუმუშავებლად, შეღებილი ან შეუღებავი) და ჟელატინის წარმოებულები; თევზის წებო; ცხოველური წაროშობის დანარჩენი წებოები, 3501 სასაქონლო პოზიციის კაზეინური წებოების გარდა:**	
3503 00 100 00	– ჟელატინი და მისი წარმოებულები	—
3503 00 800 00	– დანარჩენი	—
3504 00	**პეპტონები და მათი წარმოებულები, დანარჩენი ცილოვანი ნივთიერებები და მათი წარმოებულები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; ფხვნილი ტყავისაგან, ანუ სათრიმლავი ტყავისაგან, ქრომირებული ან არაქრომირებული :**	
3504 00 100 00	– რძის კონცენტრირებული ცილები მოხსენებული 35-ე ჯგუფის დამატებითი შენიშვნების 1 პუნქტში	—
3504 00 900 00	– დანარჩენი	—
3505	**დექსტრინები და დანარჩენი მოდიფიცირებული სახამებლები (მაგალითად, სახამებლები, წინასწარ ჟელატინიზებული ან რთულ ეთერად გარდაქმნილი); წებოები, მიღებული სახამებლების, დექსტრინებისა ან დანარჩენი მოდიფიცირებული სახამებლების ფუძეზე:**	
3505 10	– დექსტრინები და დანარჩენი მოდიფიცირებული სახამებლები:	
3505 10 100 00	– – დექსტრინები	—
	– – დანარჩენი მოდიფიცირებული სახამებლები:	
3505 10 500 00	– – – სახამებლები, რთულ ან მარტივ ეთერში გარდაქმნილი	—
3505 10 900 00	– – – დანარჩენი	—
3505 20	– წებოები:	
3505 20 100 00	– – სახამებლების, დექსტრინებისა ან დანარჩენი მოდიფიცირებული სახამებლების შემცველობით 25 მას.%-ზე ნაკლები	—
3505 20 300 00	– – სახამებლების, დექსტრინებისა ან დანარჩენი მოდიფიცირებული სახამებლების შემცველობით 25 მას.% ან მეტი, მაგრამ 55 მას.%-ზე ნაკლები	—
3505 20 500 00	– – სახამებლების, დექსტრინებისა ან დანარჩენი მოდიფიცირებული სახამებლების შემცველობით 55 მას.% ან მეტი, მაგრამ 80 მას.%-ზე ნაკლები	—
3505 20 900 00	– – სახამებლების, დექსტრინებისა ან დანარჩენი მოდიფიცირებული სახამებლების შემცველობით 80 მას.% ან მეტი	—
3506	**მზა წებოები და სხვა მზა ადჰეზივები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; პროდუქტები, გამოსაყენებელი წებოებისა ან მწებავი ნივთიერებების სახით, დაფასოებული საცალო ვაჭრობისათვის წებოებისა ან ადჰეზივების სახით, ნეტო მასით არა უმეტეს 1 კგ-ისა:**	

3506 10 000 00	– პროდუქტები, გამოსაყენებელი წებოებისა ან ადჰეზივების სახით, დაფასოებული საცალო ვაჭრობისათვის წებოებისა ან ადჰეზივების სახით, ნეტო მასით არა უმეტეს 1კგ-ისა	—
	– დანარჩენი:	
3506 91	– – ადჰეზივები 3901-3913 სასაქონლო პოზიციების პოლიმერებისა ან კაუჩუკის ფუძეზე:	
3506 91 100 00	– – – ოპტიკური გამჭვირვალე წებოები თავისუფალი ფირებისთვის და ოპტიკური გამჭვირვალე გამყარებადი თხევადი ადჰეზივები მხოლოდ ან ძირითადად ბრტყელი დისპლეების ან სენსორული პანელების დასამზადებლად გამოსაყენებელი	—
3506 91 900 00	– – – დანარჩენი	—
3506 99 000 00	– – დანარჩენი	—
3507	**ფერმენტები; ფერმენტული პრეპარატები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი:**	
3507 10 000 00	– რენინი და მისი კონცენტრატები	—
3507 90	– დანარჩენი:	
3507 90 300 00	– – ლიპოპროტეინლიპაზა; ტუტიანი პროტეაზა Asergillus	—
3507 90 900 00	– – დანარჩენი	—

ჯგუფი 36
ფეთქებადი ნივთიერებები; პიროტექნიკური ნაწარმი; ასანთი; პიროფორული შენადნობები; ზოგიერთი საწვავი ნივთიერებები

შენიშვნები:

1. მოცემულ ჯგუფში არ ჩაირთვება განსაზღვრული ქიმიური შედგენილობის ცალკეული ნაერთები, გარდა ქვემოთ 2(ა) და 2(ბ) შენიშვნაში აღწერილი შენაერთებისა.

2. ტერმინი „საწვავი ნივთიერებების ნაწარმი“ 3606 სასაქონლო პოზიციაში გამოიყენება მხოლოდ შემდეგი პროდუქტების მიმართ:

ა) მეტალდეჰიდი, ჰექსამეთილენტეტრამინი და ანალოგიური ნივთიერებანი, დაფასოებული ფორმებად (მაგალითად, აბები, ჩხირები ან სხვა ფორმები) საწვავის სახით გამოსაყენებლად; საწვავი სპირტების ფუძეზე და ანალოგიური მყარი ან ნახევრადმყარი მზა საწვავი;

ბ) თხევადი ან გათხევადებული აირისებრი საწვავი კონტეინერებში ტევადობით არა უმეტეს 300 სმ^3-ისა, გამოსაყენებელი სიგარეტის სანთებლებისა ან ანალოგიური სანთებელების შესავსებად ან ხელმეორედ საწვავით გასაწყობად; და

გ) ფისოვანი ჩირაღდნები, პატრუქები და ანალოგიური ნაწარმი.

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
3601 00 000 00	**დენთი**	—
3602 00 000 00	**ასაფეთქებელი ნივთიერებები მზა, გარდა დენთისა**	—
3603	**ბიკფორდის ზონრები; მადეტონირებელი ზონრები; დასარტყამი ან მადეტონირებელი კაფსულები; ფალიები; ელექტროდეტონატორები:**	
3603 10 000 00	– ბიკფორდის ზონრები	მ
3603 20 000 00	– მადეტონირებელი ზონრები	მ
3603 30 000 00	– დასარტყამი კაფსულები	ცალი
3603 40 000 00	– მადეტონირებელი კაფსულები	ცალი
3603 50 000 00	– ფალიები	ცალი
3603 60 000 00	– ელექტროდეტონატორები	ცალი

3604	**ფეიერვერკები, სასიგნალო რაკეტები, წვიმის რაკეტები, ნისლსაწინააღმდეგო სიგნალები და პიროტექნიკური ნაწარმი დანარჩენი:**	
3604 10 000 00	– ფეიერვერკები	—
3604 90 000 00	– დანარჩენი	—
3605 00 000 00	**ასანთი, გარდა 3604 სასაქონლო პოზიციის პიროტექნიკური ნაწარმისა**	—
3606	**ფეროცერიუმი და დანარჩენი პიროფორული შენადნობები ნებისმიერი ფორმით; ნაწარმი საწვავი მასალებისაგან, მოცემული ჯგუფის 2 შენიშვნაში მითითებული:**	
3606 10 000 00	– სათბობი თხევადი ან აირისებრი გათხევადებული, კონტეინერებში ტევადობით არა უმეტეს 300 სმ3-ისა, გამოსაყენებელი სიგარეტების სანთებლებისა ან ანალოგიური სანთებელების შესავსებად ან ხელმეორედ საწვავით გასაწყობად	—
3606 90	– დანარჩენი:	
3606 90 100 00	– – ფეროცერიუმი და დანარჩენი პიროფორული შენადნობები ნებისმიერი ფორმით	—
3606 90 900 00	– – დანარჩენი	—

ჯგუფი 37
ფოტო და კინოსაქონელი

შენიშვნები:

1. მოცემულ ჯგუფში არ ჩაირთვება ნარჩენები ან ჯართი.

2. მოცემულ ჯგუფში ტერმინი „ფოტოგრაფიული“ ნიშნავს პროცესს, რომლის საშუალებითაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღება ხილული გამოსახულებები ფოტომგრძნობიარე ზედაპირებზე, თერმომგრძნობიარე ზედაპირების ჩათვლით, სინათლის სხივების ან სხვა გამოსხივებების ზემოქმედების შედეგად.

დამატებითი შენიშვნები:

1. ორ ლენტად იმპორტირებული ხმოვანი ფილმების შემთხვევაში (ერთი ლენტი შეიცავს მხოლოდ გამოსახულებას, მეორე ხმოვანი ლენტია), თითოეული ლენტი უნდა ჩაირთოს შესაბამის სასაქონლო პოზიციაში.

2. ტერმინი „ქრონიკალური ფილმები“ (ქვესუბპოზიცია 3706 90 520 00) ნიშნავს კინოლენტებს სიგრძის 330 მ-ზე ნაკლები, რომლებიც ასახავენ მიმდინარე პოლიტიკურ, სპორტულ, სამხედრო, მეცნიერულ, ლიტერატურულ, ფოლკლორულ, ტურისტულ, საზოგადოებრივ და სხვა მოვლენებს.

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
3701	**ფოტოფირფიტები და ფოტოფირები ბრტყელი, სენსიბილიზებული, არაექსპონირებული, ნებისმიერი მასალისაგან, ქაღალდის, მუყაოს ან ტექსტილის მასალის გარდა; ბრტყელი ფირები მყისიერი ფოტოგრაფირებისათვის, სენსიბილიზებული, არაექსპონირებული, საფუთავებში ან მათ გარეშე:**	
3701 10 00	– რენტგენული:	
3701 10 000 01	– – სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სავეტერინარო მიზნებისათვის	მ²
3701 10 000 09	– – დანარჩენი	მ²
3701 20 000 00	– მყისიერი ფოტოგრაფიისათვის	ცალი
3701 30 000 00	– ფირფიტები და ფირები დანარჩენი, რომელთა ნებისმიერი გვერდის სიგრძე 225 მმ-ზე მეტია	მ²
	– დანარჩენი:	
3701 91 000 00	– – ფერადი ფოტოგრაფიისათვის (პოლიქრომული)	—
3701 99 000 00	– – დანარჩენი	—

3702	**ფოტოფირები რულონებად, სენსიბილიზებული, არაექსპონირებული, ნებისმიერი მასალისაგან, ქაღალდის, მუყაოს ან ტექსტილის მასალის გარდა; ფირები მყისიერი ფოტოგრაფირებისათვის რულონებში, სენსიბილიზებული, არაექსპონირებული:**	
3702 10 000 00	– რენტგენული	მ²
	– დანარჩენი ფირები, არაპერფორირებული, სიგანით არა უმეტეს 105 მმ-ისა:	
3702 31	– – ფერადი ფოტოგრაფიისათვის (პოლიქრომული):	
3702 31 910 00	– – – ფერადი ნეგატიური ფირი: სიგანით 75 მმ ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 105 მმ-ისა, და სიგრძით 100 მ ან მეტი მომენტალური ფოტოგრაფიის კასეტების საწარმოვებლად	მ
3702 31 970 00	– – – დანარჩენი	მ
3702 32	– – დანარჩენი, ვერცხლის ჰალოგენიდების ემულსიით:	
	– – – სიგანით არა უმეტეს 35 მმ-ისა:	
3702 32 100 00	– – – – მიკროფირი; ფირი მხატვრული ფოტოგრაფიისათვის	—
3702 32 200 00	– – – – დანარჩენი	—
3702 32 850 00	– – – სიგანით 35 მმ-ზე მეტი	—
3702 39 000 00	– – დანარჩენი	—
	– ფირი დანარჩენი, არაპერფორირებული, სიგანით 105 მმ-ზე მეტი:	
3702 41 000 00	– – სიგანით 610 მმ-ზე მეტი და სიგრძით 200 მ-ზე მეტი, ფერადი ფოტოგრაფიისათვის (პოლიქრომული)	მ²
3702 42 000 00	– – სიგანით 610 მმ-ზე მეტი და სიგრძით 200 მ-ზე მეტი, გარდა ფერადი ფოტოგრაფიის ფირებისა	მ²
3702 43 000 00	– – სიგანით 610 მმ-ზე მეტი და სიგრძით არა უმეტეს 200 მ-ისა	მ²
3702 44 000 00	– – სიგანით 105 მმ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 610 მმ-ისა	მ²
	– ფირები ფერადი ფოტოგრაფიისათვის (პოლიქრომული), დანარჩენი:	
3702 52 000 00	– – სიგანით არა უმეტეს 16 მმ-ისა	—
3702 53 000 00	– – სიგანით 16 მმ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტესი 35 მმ-ისა, და სიგრძით არა უმეტესი 30 მ-ისა, განკუთვნილი დიაპოზიტივებისათვის	ცალი
3702 54 000 00	– – სიგანით 16 მმ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 35 მმ-ისა და სიგრძით არა უმეტეს 30 მ-ისა, გარდა დიაპოზიტივების ფირებისა	ცალი
3702 55 000 00	– – სიგანით 16 მმ-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 35 მმ-ისა და სიგრძით 30 მ-ზე მეტი	მ
3702 56 000 00	– – სიგანით 35 მმ-ზე მეტი	—
	– დანარჩენი:	
3702 96	– – სიგანით არა უმეტეს 35 მმ-ისა და სიგრძით არა უმეტეს 30 მ-ისა:	
3702 96 100 00	– – – მიკროფირი; ფირი მხატვრული ფოტოგრაფიისათვის	—
3702 96 900 00	– – – დანარჩენი	ცალი
3702 97	– – სიგანით არა უმეტეს 35 მმ-ისა და სიგრძით 30 მ-ზე მეტი:	
3702 97 100 00	– – – მიკროფირი; ფირი მხატვრული ფოტოგრაფიისათვის	—
3702 97 900 00	– – – დანარჩენი	მ
3702 98 000 00	– – – სიგანით 35 მმ-ზე მეტი	—
3703	**ფოტოგრაფიული ქაღალდი, მუყაო და ტექსტილის მასალები, სენსიბილიზებული, არაექსპონირებული:**	
3703 10 000 00	– 610 მმ-ზე მეტი სიგანის რულონებში	—
3703 20 000 00	– ფერადი ფოტოგრაფიებისათვის დანარჩენი (პოლიქრომული)	—
3703 90 000 00	– დანარჩენი	—
3704 00	**ფოტოგრაფიული ფირფიტები, ფირები, ქაღალდი, მუყაო და ტექსტილის მასალები, ექსპონირებული, ოღონდ გაუმჟღავნებელი:**	
3704 00 100 00	– ფირფიტები და ფირი	—
3704 00 900 00	– დანარჩენი	—

3705 00	**ფოტოფირფიტები და ფოტოფირები, ექსპონირებული და გამჟღავნებული, გარდა კინოფირისა:**	
3705 00 100 00	– ოფსეტური აღწარმოებისათვის	—
3705 00 900 00	– დანარჩენი	—
3706	**კინოფირი, ექსპონირებული და გამჟღავნებული, ბგერითი ბილიკით ან მის გარეშე, ან შემდგარი მხოლოდ ბგერითი ბილიკისაგან:**	
3706 10	– სიგანით 35 მმ ან მეტი:	
3706 10 200 00	– – მხოლოდ ბგერითი ბილიკის შემცველი; ნეგატიური; შუალედური პოზიტიური	მ
3706 10 990 00	– – პოზიტიური დანარჩენი	მ
3706 90	– დანარჩენი:	
3706 90 520 00	– – მხოლოდ ბგერითი ბილიკის შემცველი; ნეგატიური; შუალედური პოზიტიური; ქრონიკალური ფილმები	მ
	– – დანარჩენი, სიგანით:	
3706 90 910 00	– – – 10 მმ-ზე ნაკლები	მ
3706 90 990 00	– – – 10 მმ ან მეტი	მ
3707	**ფოტოქიმიკატები (გარდა ლაქების, წებოების ადჰეზივების და ანალოგიური საშუალებებისა); შეურეველი პროდუქტები, გამოსაყენებელი ფოტოგრაფიული მიზნებისათვის, წარმოდგენილი მოზომილ დოზებად ან შეფუთული საცალო ვაჭრობისათვის მოსახმარად გამზადებული სახით:**	
3707 10 000 00	– სენსიბილიზებული ემულსიები	—
3707 90	– დანარჩენი:	
3707 90 200 00	– – სამჟღავნები და ფიქსაჟები	—
3707 90 900 00	– – დანარჩენი	—

ჯგუფი 38
დანარჩენი ქიმიური პროდუქტები

შენიშვნები:

1. მოცემულ ჯგუფში არ ჩაირთვება:

ა) ცალკეული ელემენტები ან განსაზღვრული ქიმიური შედგენილობის მქონე ნაერთები, ქვემოთ ჩამოთვლილების გამოკლებით:

1) ხელოვნური გრაფიტი (სასაქონლო პოზიცია 3801);

2) ინსექტიციდები, როდენტიციდები, ფუნგიციდები, ჰერბიციდები, მცენარეთა ზრდის საწინააღმდეგო საშუალებები და ზრდის რეგულატორები, მადეზინფიცირებელი საშუალებები და ანალოგიური პროდუქტები, დაფასოებული 3808 სასაქონლო პოზიციაში აღწერილის მიხედვით;

3) შედგენლობები, რომლებსაც იყენებენ ცეცხლსაქრობების ან დამუხტული ცეცხლსაქრობი ჭურვების მუხტებად (სასაქონლო პოზიცია 3813);

4) მოცემული ჯგუფის 2(A) ან 2(B) შენიშვნაში მითითებული სერტიფიცირებული ეტალონური მასალები;

5) მოცემული ჯგუფის 3(ა) და 3(გ) შენიშვნაში მითითებული საქონელი;

ბ) ქიმიური ნივთიერებების ნარევები კვების პროდუქტებთან ან სხვა კვებითი ღირებულების მქონე ნივთიერებებთან, რომლებსაც იყენებენ კვების პროდუქტების საწარმოებლად (უმთავრესად სასაქონლო პოზიცია 2106);

გ) 2404 სასაქონლო პოზიციის საქონელი;

დ) წიდა, ნაცარი და ნარჩენები (შლამის ჩათვლით, გარდა ჩამდინარე წყლების შლამისა) ლითონის, დარიშხანისა ან მათი ნარევების შემცველი და რომლებიც აკმაყოფილებენ 26 ჯგუფის 3(ა) ან 3(ბ) შენიშვნის მოთხოვნებს (სასაქონლო პოზიცია 2620);

ე) სამკურნალო საშუალებები (3003 ან 3004 სასაქონლო პოზიცია); ან

ვ) ნამუშევარი კატალიზატორები, რომლებსაც იყენებენ არაძვირფასი ლითონების ამოსაღებად ან არაძვირფასი ლითონების ქიმიური შენაერთების საწარმოებლად (სასაქონლო პოზიცია 2620), ნამუშევარი კატალიზატორები, რომლებსაც ძირითადად იყენებენ ძვირფასი ლითონების ამოსაღებად (სასაქონლო პოზიცია 7112), ან კატალიზატორები, შედგენილი ლითონისა ან ლითონთა შენადნობებისაგან, მაგალითად, წმინდად დაქუცმაცებული ფხვნილისა ან ჩონჩხური კატალიზატორების სახით (XIV ან XV კარი).

2A. 3822 სასაქონლო პოზიციაში ტერმინი „სერტიფიცირებული ეტალონური მასალები" ნიშნავს სერტიფიკატის მქონე ეტალონურ მასალებს, რომელშიც მოყვანილია სერტიფიცირებული მასალების თვისებების მაჩვენებლები, ამ მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდები, თითოეული სიდიდის გაზომვის ცდომილებები, და რომლებიც გამოიყენება ანალიტიკური, საკალიბრებელი და ეტალონური მიზნებისათვის.

2B. 28 და 29 კარის საქონლის გამოკლებით სერტიფიცირებული ეტალონური მასალების კლასიფიცირების დროს 3822 სასაქონლო პოზიციას აქვს უპირატესობა ნომენკლატურის სხვა ნებისმიერ სასაქონლო პოზიციასთან შედარებით.

3. 3824 სასაქონლო პოზიციაში ჩაირთვება შემდეგი საქონელი, რომელიც არ არის ჩართული ნომენკლატურის არცერთ სხვა სასაქონლო პოზიციაში:

ა) მაგნიუმის ოქსიდისა ან ტუტე ან ტუტემიწა ლითონების ხელოვნურად მოყვანილი კრისტალები (ოპტიკური ელემენტების გარდა), თითოეული კრისტალის მასით არანაკლებ 2,5 გ-ისა;

ბ) რახის ზეთი; ძვლის კუპრის ზეთი;

გ) მელნის ლაქების ამოსაყვანი შედგენილობები, დაფასოებული საფუთავებში საცალო ვაჭრობისათვის;

დ) ნაბეჭდი ტექსტების შესასწორებელი შედგენილობები ან სხვა მაკორექტირებელი სითხეები და მაკორექტირებელი ლენტები (გარდა 9612 სასაქონლო პოზიციის საქონლისა), დაფასოებული საფუთავებში საცალო ვაჭრობისათვის; და

ე) კერამიკული პიროელემენტები, დნობადი (მაგალითად, ზეგერის კონუსები).

4. მთელ ნომენკლატურაში ტერმინი „საქალაქო მეურნეობის ნარჩენები" ნიშნავს ნარჩენებს, შეგროვილს სახლებიდან, სასტუმროებიდან, რესტორნებიდან, საავადმყოფოებიდან, მაღაზიებიდან, ოფისებიდან და ა.შ., საგზაო და ტროტუარების ნაგავს, და აგრეთვე მშენებლობისა და შენობების ნგრევის შედეგად მიღებულ ნარჩენებს. ჩვეულებრივად საქალაქო მეურნეობის ნარჩენები შეიცავს სხვადასხვა მასალებს, როგორიცაა პლასტმასა, რეზინი, მერქანი, ქაღალდი, ქსოვილები, მინა, ლითონები, კვების ნარჩენები, გატეხილი ავეჯი ან სხვა დაზიანებული ან გადაგდებული საგნები. მაგრამ ტერმინი „საქალაქო მეურნეობის ნარჩენები" არ ვრცელდება:

ა) ზოგიერთ მასალებზე ან ნივთებზე, რომლებიც გამოიყოფა ნარჩენებიდან, მაგალითად, პლასტმასის, რეზინის, მერქნის, ქაღალდის, ქსოვილების, მინისა ან ლითონების ნარჩენები, ელექტროტექნიკური და ელექტრონული ნაწარმის ნარჩენები და ჯართი (მათ შორის გამოყენებული ბატარეები), რომლებიც ჩაირთვებიან ნომენკლატურის მათთვის შესაბამის სასაქონლო პოზიციაში;

ბ) სამრეწველო ნარჩენებზე;

გ) 30 ჯგუფის 4(კ) შენიშვნაში აღწერილ უვარგის ფარმაცევტულ საშუალებებზე; ან

დ) მოცემული ჯგუფის 6(ა) შენიშვნაში აღწერილ კლინიკურ ნარჩენებს.

5. 3825 სასაქონლო პოზიციაში ტერმინი „ჩამდინარე წყლების შლამი" ნიშნავს შლამს, რომელიც წარმოიქმნება ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელ ქალაქის საწარმოებში და მოიცავს წინასწარი დამუშავების ნარჩენებს, სარეცხ წყლებსა და არასტაბილიზებულ შლამს. სტაბილიზებული შლამი იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენება შესაძლებელია სასუქების სახით, გამოირიცხება (ჯგუფი 31).

6. 3825 სასაქონლო პოზიციაში ტერმინი „დანარჩენი ნარჩენები" ნიშნავს:

ა) კლინიკურ ნარჩენებს, ე.ი. გაჭუჭყიანებულ ნარჩენებს, რომლებიც მიიღება მეცნიერული კვლევების შედეგად მედიცინის დარგში, დიაგნოსტიკური, სამკურნალო ან სხვა სამედიცინო,

ქირურგიული, სტომატოლოგიური ან ვეტერინარული პროცედურების დროს, რომლებიც ხშირად შეიცავენ პატოგენებსა და ფარმაცევტულ ნივთიერებებსა და მოითხოვენ გაუვნებლების სპეციალური პროცედურების ჩატარებას (მაგალითად, გაჭუჭყიანებული ტანსაცმელი, ნახმარი ხელთათმანები ან შპრიცები);

ბ) ნამუშევარ ორგანულ გამხსნელებს;

გ) ნამუშევარ ხსნარებს ლითონების ამოჭმისათვის, ჰიდრავლური სითხეებს, მამუხრუჭებელ სითხეებსა და ანტიფრიზებს; და

დ) ქიმიური ან მასთან მომიჯნავე მრეწველობის დარგების დანარჩენ ნარჩენებს.

მაგრამ ტერმინი „დანარჩენი ნარჩენები“ არ ვრცელდება ნარჩენებზე, რომლებიც შეიცავენ ძირითადად ნავთობს და ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებულ ნავთობპროდუქტებს (სასაქონლო პოზიცია 2710).

7. 3826 სასაქონლო პოზიციაში ტერმინი „ბიოდიზელი“ აღნიშნავს ცხიმოვანი მჟავების მონოალკალურ ეთერებს, რომლებიც გამოიყენება საწვავად და მიღებულია ცხოველური, მცენარეული ან მიკრობული ცხიმების და ზეთებისაგან, მათ შორის გამოყენებული ზეთებისაგანაც.

შენიშვნები სუბპოზიციებისათვის:

1. 3808 52 და 3808 59 სუბპოზიციებში ჩარითვება მხოლოდ 3808 სასაქონლო პოზიციის საქონელი, რომელიც შეიცავს ერთი ან მეტი შემდეგ ნივთიერებას: ალაქლორი (ISO); ალდიკარბი (ISO); ალდრინი (ISO); აზინფოს-მეთილი (ISO); ბინაპაკრილი (ISO); კამფექლორი (ISO) (ტოქსაფენი); კაპტაფოლი (ISO); კარბოფურანი (ISO); ქლორდანი (ISO); ქლორდიმეფორმი (ISO); ქლორობენზილატი (ISO); DDT (ISO), (ქლორფენოტანი (INN), 1,1,1-ტრიქლორო-2,2-ბის(პ-ქლოროფენილ)ეთანი); დიელდრინი (ISO, INN); 4,6 დინიტრო -ო-კრეზოლი (ISO) ან მისი მარილები; დინოსები (ISO), მისი მარილები და რთული ეთერები; ენდოსულფანი (ISO); ეთილენდიბრომიდი (ISO) (1,2-დიბრომოეთანი); ეთილენდიქლორიდი (ISO) (1,2-დიქლოროეთანი); ფთორაცეტამიდი (ISO); ჰეპტაქლორი (ISO); ჰექსაქლორობენზოლი (ISO); 1,2,3,4,5,6-ჰექსაქლოროციკლოჰექსანი (HCH(ISO)), ლინდანის (ISO, INN) ჩათვლით; ვერცხლისწყლის ნაერთები; მეტამიდოფოსი (ISO); მონოკროტოფოსი (ISO); ოქსირანი (ეთილენის ოქსიდი); პარათიონი (ISO); პარათიონმეთილი (ISO) (მეთილ-პარათიონი); პენტაქლოროფენოლი (ISO), მისი მარილები და რთული ეთერები; პერფტოროქტან სულფონმჟავა და მისი მარილები; პერფტოროქტანსულფონამიდები; პერფტოროქტანსულფონილფტორიდი; ფოსფამიდონი (ISO); 2,4,5-T (ISO) (2,4,5-ტრიქლორფენოქსიძმარმჟავა), მისი მარილები და რთული ეთერები; ტრიბუტილტინის ნაერთები; ტრიქლოროფონი (ISO).

2. 3808 61 – 3808 69 სუბპოზიციებში ჩარითვება მხოლოდ 3808 სასაქონლო პოზიციის საქონელი, რომელიც შეიცავს ალფა-ციპერმეტრინი (ISO), ბენდიოკარბი (ISO), ბიფენტრინი (ISO), ქლორფენაპირი (ISO), ციფლუტრინი (ISO), დელტამეტრინი (INN, ISO), ეტოფენპროქსი (INN), ფენიტროთიონი (ISO), ლამბდა- ციჰალოტრინი (ISO), მალათიონი (ISO), პირიმიფოს -მეთილი (ISO) ან პროპოქსური (ISO).

3. 3824 81 – 3824 88 სუბპოზიციები მოიცავს ნარევებს და პრეპარატებს რომელიც შეიცავს ერთი ან მეტი შემდეგ ნივთიერებას: ოქსირანი (ეთილენოქსიდი), პოლიბრომირებული ბიფენილები (PBBs), პოლიქლორირებული ბიფენილები (PCBs), პოლიქლორირებული ტერფენილები (PCTs), ტრის(2,3-დიბრომპროპილ) პოსფატი, ალდრინი (ISO), კამფექლორი (ISO) (ტოქსაფენი), ქლორდანი (ISO), ქლორდეკონი (ISO), DDT (ISO) (კლოფენოტანი (INN), 1,1,1-ტრიქლორ-2,2-ბის(p-ქლორფენილ)ეთანი), დიელდრინი (ISO, INN), ენდოსულფანი (ISO), ენდრინი (ISO), ჰეპტაქლორი (ISO), მირექსი (ISO), 1,2,3,4,5,6-ჰექსაქლორციკლოჰექსანი (HCH (ISO)), ლინდანის (ISO, INN) ჩათვლით, პენტაქლორბენზოლი (ISO), ჰექსაქლორბენზოლი (ISO), პერფტოროქტანსულფონ მჟავა, მისი მარილები, პერფტოროქტანსულფონამიდი, პერფტოროქტან სულფონილ ფტორიდი; ტეტრა-, პენტა-, ჰექსა-, ჰეპტა- ან ოქტაბრომდიფენილ ეთერები; მოკლე ჯაჭვიანი ქლორირებული პარაფინები.

მოკლეჯაჭვიანი ქლორირებული პარაფინები წარმოადგენს ნაერთების ნარევს, რომლის ქლორირების ხარისხი 48 მას.%-ზე მეტია, შემდეგი მოლეკულური ფორმულით: $C_xH_{(2x-y+2)}Cl_y$, სადაც x=10-13 და y=1-13.

4. 3825 41 და 3825 49 სუბპოზიციებში ტერმინი „ნამუშევარი ორგანული გამხსნელები“ ნიშნავს ნარჩენებს, რომლებიც ძირითადად შეიცავენ ორგანულ გამხსნელებს, არსებული სახით შემდგომი გამოყენებისათვის გამოუსადეგარს პირველადი პროდუქტების სახით, მიუხედავად იმისა განკუთვნილია თუ არა ისინი გამხსნელების რეგენერაციისათვის.

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
3801	**გრაფიტი ხელოვნური; გრაფიტი კოლოიდური ან ნახევრადკოლოიდური; პროდუქტები, მიღებული გრაფიტისა ან დანარჩენი ნახშირბადის ფუძეზე, პასტების, ბლოკების, ფირფიტებისა და დანარჩენი ნახევარფაბრიკატების სახით:**	
3801 10 000 00	– გრაფიტი ხელოვნური	—
3801 20	– გრაფიტი კოლოიდური ან ნახევრადკოლოიდური:	
3801 20 100 00	– – გრაფიტი კოლოიდური ზეთში სუსპენზიის სახით; გრაფიტი ნახევრადკოლოიდური	—
3801 20 900 00	– – დანარჩენი	—
3801 30 000 00	– პასტები ნახშირბადოვანი ელექტროდებისათვის და ანალოგიური პასტები ღუმელების ამოსაგებად	—
3801 90 000 00	– დანარჩენი	—
3802	**ნახშირი გააქტიურებული; პროდუქტები მინერალური ბუნებრივი გააქტიურებული; ცხოველური ნახშირი, ნამუშევარი ცხოველური ნახშირის ჩათვლით:**	
3802 10 000 00	– ნახშირი გააქტიურებული	—
3802 90 000 00	– დანარჩენი	—
3803 00	**ზეთი თალიუმისა, რაფინირებული ან არარაფინირებული:**	
3803 00 100 00	– გაუსუფთავებელი	—
3803 00 900 00	– დანარჩენი	—
3804 00 000 00	**თუთქი, მერქნის ცელულოზის დამზადების დროს დარჩენილი, კონცენტრირებული ან არაკონცენტრირებული, შაქარგაცლილი ან შაქარგაუცლელი, ქიმიურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, ლიგნინის სულფონატების ჩათვლით, გარდა 3803 სასაქონლო პოზიციის თალიუმის ზეთისა**	—
3805	**სკიპიდარი ძივთის, მერქნისა ან სულფატური და ტერპენული ზეთები დანარჩენი, მიღებული წიწვოვანი ჯიშების მერქნის გამოხდის ან სხვაგვარად დამუშავების შედეგად; დიპენტენი გაუსუფთავებელი; სკიპიდარი სულფიტური და გაუსუფთავებელი პარაციმოლი დანარჩენი; ფიჭვის ზეთი, მთავარ კომპონენტად ალფა-ტერპინეოლს შემცველი:**	
3805 10	– სკიპიდარი ძივთის, მერქნისა ან სულფატური:	
3805 10 100 00	– – სკიპიდარი ძივთის	—
3805 10 300 00	– – სკიპიდარი მერქნის	—
3805 10 900 00	– – სკიპიდარი სულფატური	—
3805 90	– დანარჩენი:	
3805 90 100 00	– – ზეთი ფიჭვის	—
3805 90 900 00	– – დანარჩენი	—
3806	**კანიფოლი და ფისოვანი მჟავები, და მათი წარმოებულები; კანიფოლის სპირტი და კანიფოლის ზეთები; გადამდნარი ფისები:**	
3806 10 000 00	– კანიფოლი და ფისოვანი მჟავები	—
3806 20 000 00	– კანიფოლის, ფისოვანი მჟავებისა ან კანიფოლისა და ფისოვანი მჟავების წარმოებულების	—

	მარილები, გარდა კანიფოლის ადუქტების მარილებისა	
3806 30 000 00	– რთულეთეროვანი ფისები	—
3806 90 000 00	– დანარჩენი	—
3807 00	**მერქნის კუპრი; ზეთები, მიღებული მერქნის კუპრისაგან; მერქნის კრეოზოტი; მერქნის ნაფტა; სქელფისი მცენარეული; ლუდსახარში სქელფისი და ანალოგიური პროდუქტები კანიფოლის, ფისოვანი მჟავებისა ან მცენარეული სქელფისის ფუძეზე:**	
3807 00 100 00	– მერქნის კუპრი	—
3807 00 900 00	– დანარჩენი	—
3808	**ინსექტიციდები, როდენტიციდები, ფუნგიციდები, ჰერბიციდები, მცენარეთა აღმოცენების საწინააღმდეგო საშუალებები და ზრდის რეგულატორები, მადეზინფიცირებელი ან მათი ანალოგიური საშუალებები, დაფასოებული ფორმებში ან საფუთავებში საცალო ვაჭრობისათვის ან წარმოდგენილი მზა პრეპარატებისა ან ნაწარმის სახით (მაგალითად, გოგირდით დამუშავებული ლენტები, პატრუქები და სანთლები, ბუზების საწინააღმდეგო მწებვარე ქაღალდი):**	
	– საქონელი, მოცემული ჯგუფის სუბპოზიციების 1 შენიშვნაში დასახელებული:	
